

საქართველოს კანონი

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №45) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეები”.

2. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. სამსახურში შესვლისას, აგრეთვე შემდგომ ყოველწლიურად, მოსამსახურე (პრეტენდენტი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ ცნობას დეკლარაციას”.

3. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ზ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან”.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.